

სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: ბიოფიზიკა, Biophysics
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფიზიკის მაგისტრი, MSc in Physics

პროგრამის ხელმძღვანელი: ფიზ. მათ. მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი თამაზ მძინარაშვილი,

პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- სამაგისტრო პროგრამაზე მიიღება ბაკალავრის ხარისხის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი ფიზიკის, ქიმიის ან ბიოლოგიის მიმართულებიდან.
- პროგრამაზე მიღების აუცილებელი წინაპირობაა ერთიანი სამაგისტრო და სპეციალობაში გამოცდის ჩაბარება.

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი: პროგრამის მიზანია სტუდენტმა შეიძინოს ცოდნა-გამოცდილება ბიოლოგიური ფიზიკის სპეციალობით. პროგრამის გავლის შემდეგ მაგისტრი ჩამოყალიბდება, როგორც მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი. სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია უფრო თეორიული ბიოფიზიკის კუთხით, რისთვისაც პროგრამაში ჩართულია მაკრომოლეკულების სტატიკური ფიზიკის, კვანტური ბიოლოგიის, ბიოპოლიმერების თერმოდინამიკის, ჰიდროდინამიკის სპეციალური კურსები. გარდა ამისა პროგრამა ითვალისწინებს ბიოლოგიის და ბიოქიმიის ლექციების კურსსაც, რაც მაგისტრანტს მისცემს საშუალებას დაეუფლოს ბიოობიექტების თავისებურებებს.

სწავლის პერიოდში მაგისტრანტს ექნება საშუალება გაიაროს პრაქტიკულ/ლაბორატორიული მეცადინეობები, როგორც უნივერსიტეტში, ასევე სხვა სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში არსებულ ლაბორატორიებში (მაგალითად ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში). პროგრამაში აგრეთვე გათვალისწინებულია აქტიურად მონაწილეობა მეცნიერების ლექციების კურსების მოსმენაში.

პროგრამის შედეგი:

- მაგისტრანტის მიერ მიღებული ცოდნა საშუალებას მისცემს მას შეიძინოს აუცილებელი უნარჩვევები, რის შედეგად შეძლებს დამოუკიდებლად აწარმოოს სამეცნიერო მუშაობა.
- მაგისტრანტს შეეძლება დამოუკიდებლად დააყენოს სამეცნიერო ამოცანა და მონახოს მისი გადაწყვეტის გზები.
- შეუძლია ელექტრონულ თუ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მისთვის საჭირო ინფორმაციის სრულყოფილად მოპოვება და ჩატაროს მისი სრული ანალიზი.

დასაქმების სფეროები

მაგისტრატურის კურსდამთავრებულები იქნებიან მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ სამეცნიერო კვლევის წარმართვას შესაბამისი სპეციალობის კვლევით დაწესებულებებში, როგორცაა ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი; მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტი; გელიაგას სახელობის მიკრობიოლოგიის, ბაქტერიოფაგების და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი და სხვაგან.

მაგისტრანტებს ექნებათ შესაძლებლობა ჩაერთვნენ უმაღლეს სასწავლებლების თუ სასკოლო სწავლების პროცესში.